ჯონ კერი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა
კვირა, 08 სექტემბერი 2013 17:09

ამერიკის შეერთებული შტატები სირიაში სამხედრო ინტერვენციის საკითხში მხარდამჭერების ძებნას აგრძელებს. სახელმწიფო მდივნის, ჯონ კერის საფრანგეთში ჩატარებული ოფიციალური შეხვედრები ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ დასრულდა.

დასავლეთ ევროპაში მოკლევადიანი ვიზიტით მყოფი აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი პარიზში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორან ფაბიუსს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ჯონ კერიმ კიდევ ერთხელ სირიის რეჟიმის წინააღმდეგ რიტორიკა აამუშავა და განაცხადა, რომ მკვლელებს მკაცრ შეტყობინებას უგზავნის. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ ადამიანების სასტიკად მკვლელობაზე "ჩუმად ყურება"არასწორია: "დიქტატორს მსოფლიოში ყველაზე საშიში იარაღების გამოყენების საშუალება არ უნდა მივცეთ. ბაშარ ასადისნაირი დიქტატორების გამოწვეული დახოცვის გამო პასუხისმგებლობის წინაშე ღია და ეფექტური პასუხის გაცემის დროა".

შემდეგ გამომსვლელმა ფრანგმა დიპლომატმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური მშვიდობიანი გზით სირიის რეჟიმის დასჯა შეუძლებელია, სანამ ბაშარ ასადი დამარცხებას არ გაიაზრებს, მასთან მოლაპარაკებები არ ჩატარდება: "დამოუკიდებელმა ექსპერტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქიმიური თავდასხმა მოხდა. მათი ნათქვამი, სწორედ იმიტომ, რომ დამოუკიდებელი ექსპერტები არიან, ჩვენს ნათქვამზე უფრო ზუსტია".

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთი სირიაში სამხედრო ინტერვენციის საკითხში შეერთებული შტატების პოზიციას იცავს.

1 / 1